საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის

ბრძანება №1-1/10

2022 წლის 26 ივლისი

ქ. თბილისი

გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე 2090 კვ.მ გეგმარებითი არეალის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №74.06.11.185; №74.06.11.654; N74.06.11.386; №74.06.11.777 და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორია), ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 36-ე, 41-ე, 43-ე მუხლების, „საქართველოს სივრცის დაგეგმვის, არქიტექტურულ და სამშენებლო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის ((საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 13/05/2022, სარეგისტრაციო კოდი: 330090000.05.001.020556)) მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებისა და „გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №587 დადგენილების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე 2090 კვ.მ გეგმარებითი არეალის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №74.06.11.185; №74.06.11.654; №74.06.11.386; №74.06.11.777 და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორია), ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმა (დანართი №1).

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ სივრცითი და
ქალაქთმშენებლობითი განვითარების
სააგენტოს უფროსი — **იოანე მენაბდე**